საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 278

2012წ. "4" 09.

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადს (საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია**	**კრედიტების რაოდენობა**
1	რძის გადამამუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	რძის გადამამუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
2	დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
3	მებათქაშის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	მებათქაშის მესამე საფეხურის პროფესიული	15

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 4 სექტემბრის №21 სხდომის ოქმის მე-13 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
ანა კლდიაშვილი